


00  
1312 / 4



ყოველკვირეული ჟურნალი

№ 14



ფასი 10 კაპ.

1/12 8306 დისა 1 825.

# ვერის აბანო

ვისაც სურს სუფთად და ჰიგიენურად  
ბანება, ვთხოვთ მობრძანდეს.

## Верийский спускъ № 7

მშენიერად მოწყობილ, ელექტრონით  
განათებულს და ყველასთვის ხელმისაწვდომ  
აბანოში:

1/4—2 8. 75 კ.

ფასები: სახალხო აბანო, ცივი და ცხელი დუ-  
შებით 20 კ. სათავად-აზნაურა—30 კ. ცალკე კაბინეტები  
ვანებით და დუშებით—60 კ.—1 მ. 50-მდის.

1/6—2 825.

გამოზომილ ტემპერატურის ცალკე ვანები — 30 კ.

აბანო ღიაა დილის ექვს საათიდან ღამის 12  
საათამდის. კვირაობით—ნაშუადღევს 2 საათიდან.

პატვისტებით ზაქარია აბრამიშვილი.

1/2—5 825.

მთელი გვერდი ერთი თუმანი

გეორგი გვერდზედ უმაღლესი ფასები ნახებრდება



№ 14

16 ქრისტი შობისთ. 1912

უკრძნული

მიიღებს მუდის სტაქერა ფასი  
1 წლ. — 5 მან ამა 1912 წლ.  
დამლევამდე — 1 მან. 50 კაპ.,  
სოფლის მასწავლებელთ, სამ-  
კითხველოებს და უმაღლეს სას-  
წავლებლებში მოსწავლეთ დაე-  
თმობათ 4 მან.

ყოველ კვირული საზოგადო-ეკონომ.

მიური და სალიბერატორო შუხნალი რედაქცია ღია ყოველ დღე 11-1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე

## მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიბერატორო შუხნალ

# „კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.	ცალკე №	
5 მან.	2 მ. 75 კ.	1 მ. 50 კ.	50 კ.	10	საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასახვენი.
4 მან.	2.50 კ.	1 მ.	40 კ.	10	

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოლონიატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

განცხადების ფასი: ყდაზედ, როგორც აღნაშნულაა; ტექსტის სხვა და სხვა ადგილას — კანტორასთან შეთანხმებით.



ს ა რ ჩ ე ვ ი ცხოვრების გაძვირება საქართველოში. —  
 თევ. ლლონტისა. *Bona fide?* — ა — ისა. ისევ  
 ქალები. — ბაბოსი. ახალი ამბავი. ზრესა. კვირი-  
 დან-კვირამდე. კულტურული საქმიანობა სოფლად.  
 — მროველისა. ქართველი ტიპირიაზევი. — ფარ-  
 სმან-ფარუხისა. ბალკანეთის ომი და ზავი. —  
 მეომარისა. კონცერტი.

## ცხოვრების გაძვირება საქართველოში

### II.

მეჩვიდმეტე საუკუნეში — როგორც ხახანაშვი-  
 ლის ცნობებიდან დავინახეთ — საარსებო მასალებზე  
 ფასები ძლიერ დაბალი იდგნენ. ცოტა განვითარე-  
 ბას ვხედავთ მე-XVIII ში. რა იყო ამის მიზეზი? ფუ-  
 ლის სიძვირე? დიად, ფული ნაკლებად ტრია-  
 ლებდა საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში.  
 მაგრამ მიზეზი ფულის სიმცირისა ვაჭრობისა და სა-  
 ერთო ეკონომიურ ცხოვრების განუვითარებლობა  
 იყო-

მე-XIV—XV საუკუნიდან საქართველოში ნა-  
 მდვილი ბატონ-ყმური წეს-წყობილობა მყარდება.  
 საგარეო ცხოვრება საქართველოსი ამ ხანიდან ერ-  
 თიანად წყდება. ფეოდალური მიწის საკუთრება და  
 უფლებრივად გაბატონება ამ ფეოდალებისა გლეხ-  
 ყმობის ხარჯზედ, კუთხე - საერისთავოების კარ ჩა-  
 კეტილობა და ყოველგვარ ურთი-ერთობის გაწყვეტა  
 სამფლობელოთა შორის, აფარებს ქვეყანას ცნობილ  
 შავ სუდარას ბატონ-ყმობისას, რაშიაც ყოველ გვარი  
 ვაჭრობა და ცხოველი აღებ-მიცემობა შეუძლებელი  
 ხდება.

ბუნებით დაჯილდოებული მხარე, ჩვენი ხელ-  
 უხლებელი მიწის ნიადაგი მცირე შრომითაც დიდ  
 ძალ მოსავალს იძლეოდა ხოლმე. მწარმოებელი ძა-  
 ლა თუ საკმაოდ და ზედ-მეტად ქმნის საარსებო მას-  
 სალებს, მომხმარებელთა კონტინგენტი განსაზღვრე-  
 ლია. ბაზარი და კულტურა განუვითარებელია, ასეთ  
 პირობებში ვინ უნდა იყიდოს ზედ-მეტე მასალები?  
 ვის არა აქვს მქადი და ლობაო, პური თუ ქერი?  
 რადგანაც ზედ-მეტე მასალების გასაღება შეუძლებე-  
 ლი იყო, ამიტომ ხშირად, მებატონეთა ბედელში  
 დიდ ძალი სურსათი ღებოდა და ოხრდებოდა.  
 რადგან ამ ზედ-მეტე მასალების დაზოგვა არავითარ

ანგარიშს არ წარმოადგენდა<sup>1)</sup> და მას დაუზოგავად  
 ფლანგავდნენ; ამიტომ შესაძლებელი გახდა მწვეარ-  
 მიმინოების გამრავლება, ღვინისა და ქვიფის, დღე-  
 ობებისა და ათასნაირ სადღესასწაულო მოვლენათა  
 გულუხვ ქამა სმაში გამოხატვა. ძღვნობა, ჩვენი ხალ-  
 ხის ზღაპრული პურ-მარილიანობა მხოლოდ ამ  
 ობიექტურ პირობებით უნდა ავხსნათ.

ცხოვრება რომ განვითარებული ყოფილიყო,  
 მიმოსვლა და ვაჭრობა გაჩაღებული, ზედ-მეტე მასა-  
 ლების გასაღება — რეალიზაცია, მაშინ მხარეში მეტი  
 ფულებიც შემოვიდოდა. ცხოვრება გართულდებოდა,  
 მიიღებდა სხვა სახეს და როგორც დღეს ქართველ-  
 თა ძველი ჩვეულებანი, სანაქებო პურ მარილიანობა  
 და სხ. მოვლენები ქრებიან<sup>2)</sup> ისე წა-სულშიაც არ  
 ექნებოდა მას ნიადაგი. მაშინ ცხოვრებისათვის სა-  
 ქირო მასალებზე ფასიც მეტი იქნებოდა და მნი-  
 შევლობაც.

მე-XVIII საუკუნეში საქართველოს ცხოვრება  
 სრულიად ანორმალურ სურათს წარმოადგენს. ამ ხა-  
 ნაში — საარსებო მასალების ფასს ერთიანად საზ-  
 ღვრავს მხარის სოციალ-ეკონომიური პირობები —  
 ხოლო საერთოდ ცხოვრებას მეტად ეტყობოდა გა-  
 ძვირება. მე-XVIII — საუკუნის მიწურულში და გან-  
 საკუთრებით მე-XIX საუკუნის დასაწყისში, ცხოვ-  
 რება უფრო ნორმალურ კალაპოტში დგება. რუსე-  
 თის სახელმწიფოს გაბატონება პირველ ხანებში შე-  
 უძლებლად ხდის აღმოსავლეთ მტარვალურ სახელ-  
 მწიფოების უთავბოლო თარეშს. შემდეგ, მხარის და-  
 ქსაქსული ნაწილები ერთდებიან, ისპობა მათ შო-  
 რის ბაჟები, ყალიბდება 1830 წლამდე ბატონ-ყმო-  
 ბა და ვითა<sup>3)</sup>დება ვაჭრობა — აღებ-მიცემობა.

სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების რამდენადმე  
 გამორკვევა და განვითარება, ეკონომიურ მოვლენ-  
 ნებსაც განსაზღვრულ ჩარჩოში აყენებს. საქონლის  
 გაცვლა-გამოკვლა, ზედ-მეტე მასალების უცხოეთის  
 ბაზარზე გატანა და შემოტანა ისეთ საგნებისა, რომ-  
 ელზედაც ადგილობრივ არსებობს მოთხოვნილება  
 — შეუძლებლად ხდის ძველებურ ცხოვრების დამა-  
 ხასიათებელ ანორმალურ ფასებს, ბაზარი აქ იხსნე-

<sup>1)</sup> ჯერ ერთი მიმინოს ყალბა და შენახვა თანამედროვე  
 ფასებში რომ გამოვხატოთ ძველთა საქმენი, დაჯდებოდა არა  
 ნაკლებ 50 - 60 მანეთისა.

<sup>2)</sup> ფრიად საგულისხმიერო და სასიხარულოა „თემი“-ს  
 №. 118-ის ცნობა გურიისაში ძველ ჩვეულების წინააღმდეგ ხალ-  
 ხის ამოძრავება. ეს მოძრაობა ნამდვილი შედეგია ახალ  
 სოც.-ეკონომიურ ძალთა განწყობილებისა, რასაც უფრო და-  
 ლაგებით შემდეგ შევეხებით. თ. ლლონტი.

ბა და ჩვენი საქონელიც მთელ ქვეყნიერების ბაზრის საერთო პირობებში იმყოფება.

მე-XIX — საუკუნის მეორე ნახევარიდან კი ადგილობრივი პირობები როდი საზღვრავენ ქართველთა ნაწარმოებ საქონელთა ღირებულებას, არამედ მთელ ევროპის ბაზრებში არსებული ფასების კონიუნქტურა. და ეს განსაკუთრებით რკინის გზების გაშენებიდან ჩვენში. რკინის გზებმა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს და საქართველო განათლებულ ევროპას გადააბა — ამ სიტყვის ნამდვილსა და ღრმა მნიშვნელობით. დღეს ყოველგვარი ხორაგი, ყოველივე საქონელი იყიდება და ფასობს საერთაშორისო მაზანდის მიხედვით. აბრეშუმის ფასებს ჩვენ გვიკარნახებს არა ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილება-საჭიროება, არა ადგილობრივ მწარმოებელთა შრომის რაოდენობა, დახარჯული კონკრეტული მასალაზე — არამედ მთელ მსოფლიო ბაზრის პირობები. სიმინდისა და პურის ფასს ევროპის გამოფიტულ ნიადაგიანი სახელმწიფოები გვიკარნახებენ ხოლმე. რაც უნდა დიდი მოსავალი იქმნას ჩვენში, ან რაც უნდა მკაცრი მოუსავლობა, ხორბლეულობის ფასის რაოდენობა მსოფლიოს ხორბლეულობის ფასების კონიუნქტურაზე იქნება დამოკიდებული, რადგან ყოველი ფუთი ჩვენი მწარმოებლის ნაწარმოებისა ამ მსოფლიო ბაზარზე გადის.

რაკი საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურა საზღვრავს ადგილობრივ მასალებზე საბაზრო ღირებულებას - რაიცა მტკიცედ გარკვეულ და საერთაშორისო მდგომარეობით მოდის მოძრაობაში — ამიტომ ჩვენში — ყველა ქვეყნების მსგავსად — საცხოვრებელ მასალებზე ფასები წესიერად მოძრაობენ. მაგრამ საკითხავია: რა საზღვრავს თვით საერთაშორისო ბაზრის ფასებს? მოქმედებს თუ არა სხვა ქვეყნებში შემჩნეული და გარკვეული კანონები საქართველოშიაც?

სოფლის მეურნეობას თანამედროვე კაპიტალისტური ცხოვრება თან და თან უკიდურეს გაჭირვებაში აყენებს. ნიადაგის და ბუნების ძალთა ირაციონალური — კაპიტალისტური ექსპლოატაცია, მონობოლიური უფლება კერძო საკუთრებაზედ, მიწის

სინოციერეს ძლიერ მალე ფცქენიან და მით აპარტახებენ საუკეთესო ხარისხის ადგილებს, შემდეგში, გაობრებული ადგილები ნაკლებ ნაყოფს იძლევიან, მანქანითა და ხელოვნურად მეწყობილების წარმოება რაციონალურ ექსტენსიურ მეურნეობას ვერასოდეს ვერ შეედრება სარგებლობით. ამიტომ, მწარმოებელი სასარგებლოთ და ხელსაყრელად ურჩებათ, ნაკლებ ხარისხის მიწას მიმართონ დასამუშავებლად. ამგვარ დიფერენციის მეოხებით, მიწაზე თანდათან მეტ შრომის დახარჯვა და შედარებით ნაკლებ ნაყოფის მიღება, მაღლა სწევს სამეურნეო მასალებზე ფასსა და ასე მთელი ცხოვრება ძვირდება.

ამერიკაში და რუსეთში ექსტენსიური კულტურა ინტენსიურზე იცვლება და გასულ საუკუნის უკანასკნელ ხანებში ამერიკის ხორბლს კონკურენციას სრულებით ვერ იტანდა კაპიტალისტურ ინტენსიურ კულტურის ევროპის სოფელი... დღეს კი ამათი მეტოქეობის შიში აღარ არის. ამერიკარუსეთიდან თან და თან ნაკლები საარსებო მასალები გააქვთ, რუსეთს გერმანიიდანაც შემოაქვს ხორბლეული, თუმცა ეს ფაქტი გერმანიის მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკის წყალობითაც უნდა აიხსნას.

სწორედ ირაციონალურ-ინტენსიურ მიწის ექსპლოატაციას დიდი ალავი აქვს აგრეთვე საქართველოში<sup>1)</sup>. ჩვენში კაპიტალისტურ-ინტენსიური მეურნეობა ჯერაც არ არაა განვითარებული, მაგრამ სანაცვლოდ პრიმიტიულ-ინტენსიური მეურნეობა კაი ხანია რაც არსებობს და რაიცა პირდაპირ გამადგურებელია სოფლის მეურნეობისათვის. ამიტომ მიწა ჩვენში თან და თან ნაკლებ ნაყოფს იძლევა და ის ყოველ დღე ჰკარგავს ჩვენი ხალხის საარსებო საკითხში მთავარ როლის მნიშვნელობას. ჩვენი მიწა ადგილის გამოფიტვას სტატისტიკური კრებულები და კერძო მკვლევარნი მეტის მეტად აშკარად ჰყოფენ. სხვა და სხვა დროს ერთ სახაზინო დესეტინაზე მოდიოდა ხერბლეული:

დესეტინაზე

დესეტინაზე

ლექსუმის მაზრაში	1884—1885 წ. წ.	სიმინდი.		ხორბალი.		1910—1911 წ. წ.	სიმინდი.	ხორბალი.
		ფ.	ფ.	ფ.	ფ.			
ქუთაისის	}	80	ფ.	50	ფ.	}	61	ფ.
ოზურგეთის		85	"	70	"			
თელავის		160	"	—	"			
თბილისის		75	"	65	"			
თიანეთის		60	"	65	"			
დუშეთის		—	"	72	"			
		—	"	90	"			

1) ჩვენში გავრცელებულია ახრი სოფლის კულტურის ექსტენსიუობაზე. ნამდვილად ჩვენში მეურნეობა ირაციონალურ-ინტენსიურად სწარმოებს, მაგრამ ამსაინტერესო საგანზე სხვა დროს ვიქონიებთ მსჯელობას. — თ. დ.

სინამდვილე, რომელსაც დაახლოვებით გვიხატავს ეს ციფრები—აშკარად გვიმოწმებს ჩვენს მეურნეობის მთავარ ძალის—მიწათ მოქმედების დაცემას, ნიადაგის გამოფიტვას. რადგან ნაც მიწათან დათან გაყვლეფილ-გაფცქენილი რჩება, ამიტომ ხალხი იძულებული ხდება ხვნა-თესვას ნაკლები ყურადღება მიაქციოს და მიმართოს ნივთიერ საშუალებების სხვა წყაროს. აი, მაგალითად მაშინ, როდესაც საქართველოში სწრაფი ნაბიჯით წინ ჰილის მევენახეობა და სხ. სპეციალური კულტურა (ქუთაისის გუბერნიაში 1897 წ. ღვინის მოსავალი უდრიდა 1,5 მილ. ფუთს, 1904წ.—3,2 მილ. ფ. და 1907 წ.—4,4 მილ. ფუთს), ხვნა-თესვას ხალხი ნაკლებ დეტანება. ასე მაგ. ქუთაისის გუბერნიის საკუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის ცნობებით დაუიესიათ სიმინდი:

1898 წელს	—800,6	ათასი ფუთი
1900	" 682,4	" "
1900	" 707,7	" "
1905	" 903,9	" "
1907	" 561,1	" "
1908	" 588,5	" "

იმავე წყაროების გადამუშავება ჩვენ გვანახვებს რომ 1900 წელს, სულზე სიმინდის მოსავალი უდრიდა—13,22 ფუთს, 1905 წ.—12,34 ფ., 1907 წ.—10,73 ფ. და 1908 წ.—9,91 ფუთი. ვგონებთ რომ საკმაო უნდა იყოს ეს ცნობები და თან დამა-

მტკიცებელი ჩვენი სოფლის მეურნეობის კრიტიკულ ყოფა-მდგომარეობისა.

რა გავლენას იქონიებდა სოფლის მეურნეობის აგეთი კრიზისი საცხოვრებელ მასალებზე? ეკონომისტ ფონ-ტიუნენის მიხედვით, განცალკევებულ-გარიყულ სახელმწიფოდ რომ წარმოვიდგინოთ საქართველო, მაშინ ჩვენ ნათლად და ადვილად დავინახავთ, რომ ამ გარემოებას თან მოჰყვებოდა ყოველგვარ სანოვავის გაძვირება. მცხოვრებთა გამრავლებით მოთხოვნილება იზრდება, მოწოდება კლებულობს, ბემ-ავერსკის უბრალო თეორიაც გვასწავლის, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნილების ყოველ საგანზე ფასები აიწევა, მაგრამ თანამედროვე რეალური საქართველო ხომ სრულებით არა ჰგავს ფონ-ტიუნენის გარიყულ სახელმწიფოთ, საქართველო გადაჯაჭვულია მთელ თავის აღებ-მიცემობითა და ცხოვრებით მთელ მსოფლიოსთან და ამიტომ ადვილად შეიძლება ჩვენში ძვირად საშოვნელი მასალების გარედან შემოტანა, სადაც უფრო იაფია. მაგრამ საქმეც ის არის, ის რაც გვანახა საქართველომ, კიდევ უფრო მკაცრ სურათს გვანახვებს სხვა სახელმწიფოები, ასე რომ დიდად იაფ მასალების შემოტანაზე ლაპარაკი დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ, ფასები საცხოვრებელ მასალებზე დღითი დღე დიდდებიან. სტატისტიკური ცნობები აშკარად და ნათლად გვიხატავს ჩვენს აბსტრაქტულ-თეორიულ მოსაზრებებს. ასე მაგალითად ფუთი ღირდა.

თელავის მაზრაში	ქერი.	ხარბაღი.	სიმინდი.	1884—85 წ. წ.			1910—11 წ. წ.		
				ქერი.	ხარბაღი.	სიმინდი.	ქერი.	ხარბაღი.	სიმინდი.
თბილისის	40 კ.	70 კ.	33 კ.	96 კ.	125 კ.	85 კ.	101 კ.	120 კ.	80 კ.
თიანეთის	40 კ.	80 კ.	—						
დუშეთის	40 კ.	65 კ.	40 "						
შორაპანის	55 "	65 "	50 "						
ლეჩხუმის	—	100 "	50 "						
ქუთაისის	48 "	65 "	65 "						
ოზურგეთის	—	—	55 "						

ამნაირად დავასკვნათ: საქართველოში განვითარებული ცხოვრების გაძვირება აიხსნება ადგილობრივ და საერთაშორისო სოფლის კულტურის გაძვირებით, მიწის ნაკლებ ნოყიერებისა და შრომის ზედ-მეტ ხარჯით.

ეს არის მთავარი მიზეზი ცხოვრების გაძვირებისა. რაც შეეხება ბაეებს, პრემიებს და სხ. ასეთ ხელოვნურ ზომებს, ან ტრესტების, სინდიკატების, ჩარჩების და სხ. მოვლენებს, მართალია, ცხოვრების გაძვირებაზე ამაებსაც აქვს რამდენადმე გავლენა,

მაგრამ არა საზოგადო და საერთაშორისო. სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა შეიცვლება, ტრესტებ-სინდიკატების შადა შეიძლება სათანადო ფასებში ჩააყენოთ, ვაჭრობის მოწესრიგება კოოპერატივების საშუალებით, მაგრამ დღევანდელ კაპიტალისტურ ცხოვრების პირობებში, დღევანდელ მონოპოლიურ მიწის საკუთრებისა და საწარმოვო საშუალებათა ირაციონალურ ექსპლოატაციის ჩარჩოებში—შეუძლებელია თანამედროვე სიძვირეს თავი დავახწიოთ. მხოლოდ რაციონალური მეურნეობა და აღებ-

მიცემობა — ამ სიტყვის უღრმეს მნიშვნელობით — შესძლებს ცხოვრების გაძვირების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას და არა ფულების ნორმალური რაოდენობა — როგორც ამას ვულგარული ეკონომისტები ამბობენ.

30 XI 1912 წ.

თევდ. ლლონტი.

B O N A F I D E ?

„მე არ შემიძლო თავად-აზნაურული ინტერესი მცხოვრებთა ინტერესებზედ მალლა დ მეყენებინა და ქართული ეროვნული — მთელი მხრის ინტერესებზედ“.

ღრმა აზროვანი ტირადა ესე ეკუთვნის არა რომელიმე დემოკრატს და ინტერნაციონალისტს, არამედ აზნაურს და „მამულიშვილს“ და თვით თავად-აზნაურობის წინამძღოლსა თავად პავლე თუმანიშვილს. არ გავბედავთ იმის მტკიცებას, რომ ასეთი „ლიბერალური“ აზროვნება შეუფერებელია აზნაურისთვის, მაგრამ როცა თავად-აზნაურთა წინამძღოლი „საერთო მხარის ინტერესებს“ იცავს მაშინ, როცა ამას მხარე არ საჭიროებს და ფეხით კი სთელავს თავად-აზნაურთა ინტერესს, როცა ამ ინტერესის დაცვას ქართველი თავად-აზნაურობა „მუხლ-მოდრეკილი“ ეხვეწება, — მაშინ ამ თავად-აზნაურობასაც არა ნაკლები მოქალაქობრივი გამბედაობა უნდა ჰქონდეს, რომ ის სავარძელი, რომელიც უკავია თავად თუმანიშვილს ბელინსკის ქუჩაზედ სავაკანსიოდ გამოაცხადოს.

ამას მოითხოვს ღრმად შეგნებული ეროვნული ინტერესი ქართველ თავად-აზნაურობისა.

თუ თავად პ. თუმანიშვილს უფლება აქვს უკიფიროდ, უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ, არამც თუ გვიმტკიცოს სარგებლობა კ. რკინის გზისა და ს. ბაქოს გზის შეერთებისა, არამედ სისრულეშიც მოიყვანოს ეს შეერთება, ჩვენც არა ნაკლები უფლება გვაქვს მარტოდენ ინტუიტიურის საშუალებით ვამტკიცოთ წინააღმდეგი.

როდესაც წინაშე, არა თუ მარტო თავად-აზნაურობისა, არამედ მთელის ერისა, ხდება ისეთის თვითნებობით აქტი გზათა შეერთებისა, რომელიც ყირაშალა აყენებს მთელს ჩვენ განზრახვებს და მისწრაფებას, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ დარღვეულია ნაციონალური დისციპლინა. დეე, ამ სიტყვებში სხვა და სხვა ნაირად მოაზრე ხალხმა გაახვიოს სხვა და სხვა აზრი, დეე, მათ, ვინც მოქ-

მედობენ გონიერად, დარღვეულ ნაციონალურ დისციპლინას, უწოდონ დარღვეული ნაციონალური პოლიტიკა, ვინც ხელ-მძღვანელობს გრძნობით მათ უწოდონ დარღვეული პატრონიზმი და ვინც შორსა სდგანან ერთხედაც და მეორეხედაც, სიფრთხილის მოსაზრებით, უწოდონ მხოლოდ დარღვეული რიგიანობა, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომელ მხრიდანაც უნდა შეეხოთ მას, თქვენ აღმოაჩინეთ აქ მხოლოდ ჩაშლილს ეკვილიბრიუმს.

ჩვენის აზრით, თვით ლაპარაკიც კი, სარგებლობაზედ თუ ზარალზედ მომეტებულია, რადგან საქმე იმდენად მატერიალურ სარგებლობაში არ არის (რომელიც არც „შეერთების“ დროს არსებობს), რამდენად თვით კახეთის რკინის გზის დამოუკიდებლობაში და იმ პრინციპში, რომელსაც იცავდა თავად-აზნაურობა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ პერსპექტივას, რომელსაც გვიქადიდა დამოუკიდებელი არსებობა კახეთის გზისა და რომელიც ჯერ არ არის გაბათილებული მოწინააღმდეგეთაგან, ჩვენ საჯაროდ უნდა განვაცხადოთ, რომ „შეერთებით“, რომელსაც, აქვე ვიტყვი, სამინისტროების, კურტაჟისა და დირექტორობის ადგილის სუნი უდის, — თავად თუმანიშვილმან სასტიკად და ცინიკურად გადასთელა ჩვენი ეროვნული ინტერესი და შორს გზის რაინდივით წინ უყელა მას.

ჩვენ მოვისმინეთ თვით თუმანიშვილის თავისდაცვა და ცინიზმის მეტი ვერა გამოვიტანეთ რა იქიდან. შეგვიძლიან მხოლოდ ისა ვსთქვათ, რომ თვით თავადი თუმანიშვილი არა ნაკლებ ნიჭიერი „დამცველი“ ყოფილა და გარდაწყვეტა იმისა, თუ კახეთის რკინის გზის საქმეში გვაზავასა და თუმანიშვილის შორის რომელია პატრონი და რომელი კლიენტი, მიგვიჩნდვია ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც მუხედავად ყოველივე აშკარაობისა, მაინც „გონიერ“ ნეიტრალიტეტს იცავს.

თავის დაცვა თუმანიშვილისა არა ნაკლებ ცინიკური იყო, ვიდრე ვექილობა გვაზავასი და არა ღირს მასზედ გაჩერება. ჩვენ გვაოცებს მხოლოდ თავხედობა იმ ადამიანისა, რომელსაც არავინ არა სწამს, რომელმაც არ იცის არც ერთი ციფირი, არც ერთი საბუთი და არც ერთი მოსაზრება, მაგრამ რომელიც სამინისტროების და ჩვენ გამყიდველ ბანკების წერილებს საჯაროდ დიდის ზეიმით კითხულობს და იმპოზანტურ შთაბეჭდილებას ახდენს ლიბერალურ, რადიკალურ და თვით მოსოციალისტე ადამიანებზედაც კი. მაგრამ ამასთანავე, ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ, როგორც თუმანიშვილის ნა-

ლაპარაკევიდან, ისე გვაზავას წერილიდან ორი ადგილი, რომლებიც როგორც ერთმანეთის დამატება და ახსნა-განმარტება, სულ ახალ შუქსა ჰფენს კახეთის რკინის გზის საკითხს, მაგრამ რომლისაგანაც თუმანიშვილის როლი უფრო სასტიკი, გონების ამრევი და იქნებ, *Bona fide*, მოალაპურეც ხდება.

ჯერ ბატონ გვაზავამ აღნიშნა, რომ კახეთის რკინის გზის კონცესია **ერთგვარი პოლიტიკური ლგოტა** იყო, ვითომც მთავრობისაგან ბოძებული და მერე თავად თუმანიშვილმა გვაუწყა ერთი მინისტრის აზრი, რომ იმავე კონცესიის მოცემა თურმე არა იყორა, თვინიერ **გაუგებრობისა** (*недоу-мъннѣ*).

თუ მივიღებთ მხედველობაში, მართლაც, რომ მთავრობა კონცესიის მოცემით ერთგვარ პოლიტიკურ ლგოტას აძლევდა თ.-აზნ., რაც ადვილად წარმოსადგენელია, და თუ ანგარიშს გაუწევთ თუმანიშვილისაგან პეტერბურგიდან ჩამოტანილ, მინისტრის ნალაპარაკებს, მკითხველი ადვილად დაინახავს აქედან, რომ ჩვენ გვქონია საქმე ორნაირ პოლიტიკურ კურსთან, როცა კონცესიის მოცემა **სასურველად** ყოფილა მიჩნეული—ეს ერთი კურსი და მეორე კურსი კი, როცა ამ კონცესიის **გაბათილება** და თავად-აზნაურობის მშრალზედ დასმა, არა ნაკლებ სასურველი ყოფილა პირველზედ.

თუ ეს ასეა, ჩვენ კი უფლება არა გვაქვს უარვყოთ ეს, რადგან ამას ამბობენ თვით ჩვენი მოწინააღმდეგენი, მაშინ როლი თავ. თუმანიშვილისა კახეთის რკინის გზის დამოუკიდებლობის გაუქმებაში და ამ რიგად რეაქციონურ კურსის ხელის შეწყობაში უარესად საზიზღარია და ის რეაბილიტაცია, რომელიც მან „მოახდინა“ წარსულ კვირას საკმარისი არ არის.

რეაბილიტაცია კი არ არის საჭირო, საჭიროა გამომწვევება ამ საქმის გულ-ღვიძლისა და თუ მართალია ზემოდ ნათქვამი, რომ მთავრობას სურდა თავად-აზნაურობის მშრალზედ დასმა, სწორედ ისე, როგორც, მაგალ., ვარშავა-ვენის რკინის გზის საქმეში—პოლონელებისა, მაშინ მთავარ კითხვად იბადება ის, თუ რამდენად შეუწყო ამ საქმეში მთავრობას ხელი თავ. პ. თუმანიშვილმა. აი, რა აინტერესებს ქართველ საზოგადოებას და ვიდრე ამ საკითხზედ საზოგადოება ნამდვილ პასუხს არ მიიღებს, ყოველივე ცდა ისეთ უბრინციპო გაზეთებისა, როგორც „თემი“, „ზ. რეჩი“ და სომხური გაზეთი „ტიფლისკ. ლ.“ თავად თუმანიშვილის გამართლებისა მხოლოდ მზაკვრული ოვაცია იქნება.

მსჯავრი საზოგადოებისა ისეთი დიდი, რომ ვერავითარი თანაგრძნობა, ადრუსები და პროტესტები ჩვენებურ პოლიტიკურ რეგვენთა მთაბეჭდილებას ვერ მოახდენენ და **გაუგებრობის** „შვილთაგან“ მიძღვნილ დაფნებზედ, თავ. თუმანიშვილისთვის ჯერ ნაადრევია.

პოლიტიკური რეგვენები არიან ყველა ხალხში და რაც უფრო მეტი გვყავს ჩვენ ისინი, მით უფრო ხალხი ვყოფილვარო ჩვენც, ალბად ასეთია ირონია საქართველოს ბედისა, მაგრამ, როცა საზოგადოებრივ აზრს, წინააღმდეგ სამართლისა და ლოლიკისა, ჰქმნიან სწორედ ეს პოლიტიკური რეგვენები და აშკარა დამნაშავეს, თავზედ მოწამებრივ გვირგვინს ადგამენ, იმ თავზედ, რომელშიაც შემუშავდა დიდი ეროვნული დანაშაული, ჩვენ მაშინ ვალდებულნი ვართ ვადვიძოთ ხალხის სინიდისი, გამოვიხმოთ ჭეშმარიტი სამართალი და ვათქმევინოთ ამ სამართალს პირუთვნელი სიტყვა.

ა — ი

## კიდევ ქალებზე

წავიკითხე წერილები ჩვენთან, ქალებთან, ქნეკ. გაბაშვილისა და სევდიასი. მომაგონდა ჩვეულებრივო, ათასჯერ ნაღეჭი აზრები გათრეულა (?) გაზეთის მოწინავე წერილისა, სადაც არის ხოლმე მაგალითად ასე: „იმ დროს, როცა კულტურას დაუსერია დედამიწის ზურგი რკინის გზის ლიანდაგებით, იმ დროს, როცა ეს კულტურა ეცილება მზის სინათლეს ელექტრონითა, იმ დროს, როცა ამ კულტურამ საოცარის სისწრაფით დაიპყრა ჰაერი, აქა და აქ კი სუფევს ასეთი და ისეთი უკულმართობა“...

გადმოალაგეთ ძველი გაზეთები და იქაც იმავე სიტყვებით ჰპოვებთ ქალებისადმი საყვედურს, რომ რუსული ტიტინით თავი მოგვწონს; წარსულში დედა თავის ადგილზე იყო და ახლანდელი დედაც, სასურველია, თავის ადგილზე იყოს. ეს სულ ჭეშმარიტებაა, არავინ უარს არ იტყვის, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თქმა, რაკი ბევრჯელ და ერთფერ გავიძახით, უშინაარსოდ გამოჰყვეოს. რა ავლადიდებაა მართლა ეს, რომ ახლანდელი ქალები რუსულის ტიტინით თავებს იწონებენო. ამის ლაპარაკი ძალიან ცოტაა, საჭიროა მეტი განმარტება, საჭიროა დახატვა იმისი, თუ რუსულად რომ



ტიტინს არ ვეტრფოდეთ, რას უნდა ვესწრაფოდეთ; ნუ თუ ქართულად რომ ვიტყვით ეს გვეყოფა? ვკონებ, საჭიროა მეტი განმარტება, გათვალისწინება აწმყო მდგომარეობისა. უნდა დაინატოს ის ადგილი, რომელზედაც ქალი უნდა ამალდეს და თავის ძალას გამოაღებინოს იმდენი უნარი, რამდენის მოცემაც შეუძლიან — მას. რა ენაზედაც გნებავთ იტყვინეთ, რამდენი შეილიც გინდათ გააჩინეთ, ის ამ უნარს ქალს ვერ შესძენს, იმიტომ რომ ტიტინი არაფრის გამომღებია.

ძველი დედის ადგილი ძალიან გარკვეულად მოსჩანდა, ძალიან შეთანხმებულიც იყო ყველასთან. ძველად მტერი ერისა შიგ სახლში იყო შემოჭრილი და გაღესილი ხმლით ყველას, კაცსა და ქალს თავზედ ედგა: „იწამე ისლამი, დაჰგმე შენი ღმერთი, მიიღე ჩემი ზნე და გახდი ჩემი მონაო“, ამას იტყოდა მტერი, ხმალს მოუქნევდა და ქართველს თავს მოჰკვეთდა. როგორი რეგვენი უნდა ყოფილიყო ვინმე, რომ არ მოესაზრებინა, არ მოეწოდებინა შეილისთვინ, მამისთვინ და ქმრისთვინ, ხალხისთვინ და არ ეთქვა, მოდიოთ, თუნდ გავწყდეთ; ამ მტერს მოვერიოთ და შევინარჩუნოთ სამშობლო და თავისუფლებაო.

ღიად, მხოლოდ ესე შეიძლებოდა მოქცევა და სხვაფერ წარმოდგენაც კი ძნელია.

ხოლო დღეს, ერის მტერი ესე სახლში არ გვიზის თავების საკვეთად. ამ მტრისაგან შორიდგან, უხილავად, მიწის ქვეშ ჩაწყობილია მიღები, ხილულადაც ზოგან ღარებია გამოდებული; ამ მიღებს და ღარებში მოდის შხამი, რომელიც ზოგან მიგვლეკავს, ზოგან გვასნეულებს და გადაგვარების გზაზედ გვაყენებს.

ამისთანა მტერს ჯერ დანახვა უნდა, მას ცნობა უნდა, მისი და სხვისი ცხოვრების შესწავლა გვინდა, შეგნება; შხამისთვინ წამალის გამოძებნა გვინდა და ყველა ამას კი, იცით რომ ქართული ტიტინი ვერ არგებს! ამას ძალიან სერიოზული თვით-შეგნება უნდა, განათლებით და ცოდნით აღჭურვა უნდა; მაშინ დედობასაც კარგს გაუწევთ და ერის შეილობასაც. გვინდა განათლება, განვითარება ისეთი კი არა, როგორც ჩვენ მამაკაცებს გადიპლომიანება უნდათ ხოლმე. არა, ცოდნის შეძენა გვინდა ისეთისა, რომელმაც უნდა გვამცნოს ქვემარტი შეხედულება ადამიანზე გვასწავლოს რომ ღიადი სიყვარულის და მშვენიერი სათნოების დამთესია თავისუფლება, წინმსვლელობის გზაა ცოდნა, მოქმედება და შრომა. ღიად, დღეს მოსჩანს,

რომ ქალებს უნდა წარუდგინოთ უფრო დიდი და გარკვეული მოთხოვნილებანი და ვაგონობინოთ მთელი მისი მოვალეობა მამულის წინაშე.

საქართველოში  
გონიერებისა და  
ბაბო.

უცვლელად ვბეჭდავთ პატივცემულ მანდილოსნის აღელვებულ წერილს, მაგრამ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ყველა აქ აღნიშნულ დებულებაზედ.

რალა თქმა უნდა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული სინამდვილე უფრო მარტივ ფარგლებში ტრიალებდა, ვიდრე ეხლა, მაგრამ მაშინაც ცხოვრება საკმაოდ რთული იყო და დედაკაცსაც საპატიო ადგილი ექირა. იქნებ არც ერთ ქვეყანაში არა ჰქონია მოპოვებული ისეთი თავისუფლება, როგორც ჩვენში, მაგრამ აქაც ვერ გამოიჩინა უნარი მამაკაცთან გათანასწოებისა. და თუ წარსულში სწორე აღლო აართვა სინამდვილეს ქართველმა ქალმა — ეს იქნება ცხოვრების სიმარტივის ბრალი იყო, დღეს კი კითხულობს: მაჩვენეთ ჩემი ადგილიო: მრავალი უხილავი, მიწაში დაფლული ლულებით შხამი მოასკდა სამშობლოს და საშველი გვიჩვენეთო.

ვინ? ვინ უნდა აჩვენოს ქალს ეს საშველი, თუ თითონ არ შეიგნო და თითონ არ შეეგუა სინამდვილეს? მამაკაცმა? თუ მტერია, გზას როგორ გასწავლით, თუ მეგობარი და თანასწორი, რატომ თითონ შენ, დედაკაცო, არ მოსძებნი გზას შენსას?

ჩვენ, უფლებბრივ თანასწორობის მომხრენი ვართ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გვწამდეს დედაკაცის და მამაკაცის ღირებულების თანასწორობა, არამედ იმიტომ, რომ ეს განსხვავება, ერთისადი იმავე პირობებში ჩაყენების დროს — უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.

მაგრამ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხებით, რადგან ჩვენს ეროვნულ მისწრაფებაში ქალთა საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ.

რედ.

### ახალი ამბავი

შეკითხვა დებუტატთა საკრებულოს. ამ დღეებში ჩამოვიდა პეტერბურგიდან დ. ე. ჩოლოყაშვილი და დებუტატთა საკრებულოს უნდა წარუდგინოს მოხსენება კახ. რე. გზის ბუდ-იღბლის შესახებ. როგორც გავიგეთ, საამუდო ამბავი ჩამოუტანია.

უხლავ ტრაგიკში მდგომარეობისა იმაშია, რომ ეს მოხსენება, გ. რ. გ. შაწინააღმდეგე პ. ი. თუმანიშვილის თანხლებით უხდა მოხდეს და როგორ გამოიყენებს ხსენს ცნობებს იმის სურვილზეა დამოკიდებული.

**რა ზომებს იღებს ამ შემთხვევაში დეპუტატთა საკრებულო საიდუმლოების დასაცავად?**

ახალი საზოგადოება. ქუთაისში, ადგილობრივ ინტელიგენციის თათხრობით, დაარსდა საისტორიო და საეკონომიკური საზოგადოება, რომლის წესდება სათანადო მთავრობამ უკვე დაამტკიცა.

11-ს ამ თვისას, ქუთაისში გამოვიდა ახალი ყოველდღიური საზოგადო და საპალიტიკო ქართული გაზეთი „მერცხალი“.

ს. კობახიძეში (ქუთ. გუბ.) გახსნეს წიგნთ-საცავი და საშეკრებო აწ განსვენებულ გოგებაშვილის სახელობაზე. დამაარსებელი მიმართავენ წ. გ. ს. შემწეობა აღმოჩინეს ფუფით, ან წიგნების შეწირვით.

ნიკაშეთში (ქუთ. გუბ.) ახარებენ წერილი კრედიტის ამხანაგობის გახსნას.

**ახალი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.**  
თავად ე. ჯ. ჯანდიერის ასულმა, ა. თ. მათურელმა, თავ. გ. ხ. ავალიშვილმა, თავ. რ. მ. ურალაშვილმა და სხ. ითხვეს თბილისის გუბერნატორისაგან ნებართვა ახალ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა: „თუშეთ-კახეთის ამხანაგობა“. ამხანაგობას მიზნად აქვს ხელი შეუწოდოს თიანეთის და თელავის მაზრაში სასოფლო-მეურნეობას, მანქანების და გაუმჯობესებულ იარაღების შეძენით. ამ მიზნის განსახორციელებლად, ამხანაგობას ახრდა აქვს: 1) შეიძინოს საკუთრებად, ან იქირაოს ხელმე სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, რომ დაეხმაროს ამხანაგობის წევრებს და გარეშე შირთაც, განსაკუთრებული ფასის გადახდით. 2) იქონიას სახელმწიფოები ამ მანქანების და იარაღის შესაკეთებლად.

# წ რ ე ს ა



რომ კახეთის რკინის გზის მშენებელი უკანასკნელ დროს უკუღმართოდ დატოვებულა ეს აშკარაა, როგორც ის, რომ გამოსწორება ამ საქმის ძალიან საეჭვოა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ უკუღმართობას ხელი შეუწყეს თვით ქართველებმა, გამსჭვალულთ თავისი პირადი ინტერესებით, რომელსაც შესწირეს დიდი ეროვნული საქმე, როგორც ნაციონალური რკინის გზაა, ყურადღების ღირსია სერიოზულ საზოგადოების უმრავლესობისა. ცნობილი „იდეური“ გაზეთები — „ზაკავკასკია რეჩ“, „თემი“ და ხაჩატუროვის „ტიფლისკი ლისტოკი“, სკდილობენ შავი ბურუსი მოახვიონ ამ საქმეს და გააქარწყლონ მის ჩამშლელ პირთა დანაშაულობა. ბ. ბ. გვაზავები, დიასამიძეები, „გრუზინები“ და სხვა ამ გვარი „ქართველი მოღვაწეები და ჟურნალისტები“, ხაჩატუროვის მარკისა დიდ ენერჯიას ხარჯავენ, რომ სიმართლეს გზები აუბნიონ.

მაგრამ მათი ბოროტი ცდა უნაყოფოა. მოვა დრო, როცა ნამდვილი სიმართლე გამოძვლიანდება და ამნაირ „გრუზინებს“ უჩვენებს ღირსეულ ალავს.

თი რასა სწერს „სახალხო გაზეთი“:

„ჩენს რედაქციას ხელში აქვს დოკუმენტები, რომლებიც ამჟღავნებენ, ვინ რანაირი რაღი ითამაშა კახეთის რკინის გზის საქმეში. ამ დოკუმენტებს ჯერ უნდა იხილონ არ ვაქვეყნებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ვშიშობთ ამან ხელი არ შეუშალოს კახეთის რკინის გზის დაბლოკვას ჩვენსა სასარგებლოდ. როდესაც საქმე ესე თუ ისე გადასწვდება, მაშინ დოკუმენტებსაც გამოვაქვეყნებთ, დეკ შიუდგამელმა საზოგადოებამ თავისი მსჯეული დასდოს“.

მართლაც რომ „სახალხო გაზეთი“ განზრახვა, დოკუმენტების გამოქვეყნება, ერთად ერთი გზაა, რომ ქართველმა საზოგადოებამ ნამდვილად და საბოლოოდ გაიგოს კახეთის რკინის გზის საქმის ვითარება, ვინ და როგორ ეხმარებოდა ან უშლიდა ამ ნაციონალური საქმის მაწყობას. და რაც უფრო მალე გამოქვეყნდება ეს დოკუმენტები და სინათლე მოეფინება ამ საქმეს, მით უფრო უკეთესი იქნება.

## კ კ ი რ ი დ ა ნ — კ კ ი რ ო ბ ა მ დ ე

**შეკითხვა დეპუტატ ვ. გელოვანისა და სხვათა.**

დეპუტატმა გელოვანმა სხვა დეპუტატთა ხელის მოწერით შემდეგი შეკითხვა წარუდგინა მთავრობას:

„მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეკლარაციაში, — გარდა მიწათ-მოწყობის შესახებ, არაფერი არ არის ნათქვამი იმ რეფორმების

შესახებ, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ კავკასიაში. კავკასია კი დიდი ხანია ელის საერობო თვითმმართველობას, უკვე მოძველებულ სამხედრო სახალხო მართვა-გამგეობის გაუქმებას და სხვ. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ყველა ზემოხსენებულ კანონ-პროექტების შემუშავება კავკასიას აღუთქვამს ხელმწიფე იმპერატორის მოადგილემ, გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა 1905 წელს 4 აპრილს (აქ მოყვანილია ვორონცოვ-დაშკოვის დებეშა, გაგზავნილი თავის თანაშემწე მალამასთან); მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ, თანახმად 1907 წელს უმაღლესად წარდგენილ მოხსენებისა, მოწონებულ იქმნა მინისტრთა საბჭოს მიერ 1908 წლის 14 დეკემბერს; ამასთანავე მესამე სახელმწიფო სათათბიროსაც არა ერთხელ გამოუთქვამს სურვილი, რომ ეს რეფორმები რაც შეიძლება მალე განხორციელდეს. ამიტომ ჩვენ, სახელმწიფო სათათბიროს წევრნი, სათათბიროს დებულების მე-40-ე მუხლის ძალით, ვეკითხებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს: 1) რა მდგომარეობაშია ეს კანონ-პროექტები; 2) როდის შემოიტანს მთავრობა საკანონმდებლო დაწესებულებაში სათანადო კანონ-პროექტებს. ეს ცნობები საჭიროა იმისთვის, რომ სათათბირომ ისარგებლოს თავის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით.

**დებუტატ ა. ჩხენკელის სიტყვა.**

წარსულ კვირას დებუტატმა ჩხენკელმა (ს. დ.) სათათბიროში სიტყვა წარმოსთქვა:

ორატორი დაწვრილებით შეეხო საქართველოს უფლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობას, „სადაც ადმინისტრაციული თვითნებობის თარეში აუწერელია. საქართველოს გლეხობას მიწის სივიწროვეს განიცდის. განსაკუთრებითი წესები კავკასიაში ნორმალურ წესებად გადაიქცნენ. დეკლარაციამ, სიტყვის იმ ნაწილში, სადაც თვითმმართველობაზედ იყო ლაპარაკი, კავკასიაზედ ხმა არ ამოიღო და ამ რიგად ისევ ერობის გარეშე დასტოვა იგი. მთავრობამ უარჰყო აზრიც კი თბილისში უნივერსიტეტის გახსნისა“. ორატორმა აღნიშნა სეპარატიზმის მოქორება.

**ინდოეთის ვიცე-კოროლის დაქრა.**

ქალაქ დელში, ინდოეთის ვიცე-კოროლის ლორდ გარდინგს ყუმბარა ესროლეს — თავდასხმა ლორდ გარდინგზედ იმ წუთს მოხსენიებენ, იგი თავის ახალ სატახტო ქალაქ დელში შედიოდა. ტრადიციის წესით იგი სპილოზე გამართულ კოშკში იჯდა. ამ დროს რევოლუციონერებმა ყუმბარა ესროლეს. ვიცე-კოროლი ბეჭში დაიჭრა. მასთანავე დაიჭრა ქოლგის მჭერელი ფარეში. ვიცე-კოროლი იმ წამსვე ავტომობილში გადაიყვანეს და სასტუმროში შეაფარეს. მისი ადგილი სპილოზედ — ფინანსთა მოურავმა და საბჭოს წევრმა ვ.ლსონმა დაიკავა და პროცესია კვლავ გაემართა დანიშნულ ადგილისაკენ. პარადის დროს ვ.ლსონმა დებეშა მიიღო ვიცე-კოროლისაგან, რომ იგი მსუბუქად არის დაჭრილი. ამ ამბავმა დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის. ვიცე-კოროლის დაჭრის ამბავმა ლონდონში დიდი ალიაქათი გამოიწვია, თუმცა პრესა ურჩევს მთავრობას გამოიჩინოს თავშეკავება და უწინდელი პოლიტიკური კურსი ინდოეთში რეპრესიებით არ შესცვალოს. თავდასხმის დროს დაშავდა ცამეტი კაცი. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

**საზავო კონფერენციის გახსნა.**

16 დეკემბერს (ახ. სტ.) ლონდონში, სახელგანთქმულ სენ-დემის სასახლეში გაიხსნა კონფერენცია ბალკანეთზედ ზავის ჩამოგდებასა. 12 საათზე დელეგატები ნელ-ნელა შეიყარნენ და ერთმანეთს გაეცნენ. თორმეტს რამოდენივე წუთი უკლდა, რომ სასახლეში მოვიდა სერ ედუარდ გრეისწორედ თორმეტ საათზე მან დაიკავა თავმჯდომარის ადგილი და წარმოსთქვა მისასაღმებელი სიტყვა:

გრეი ლაპარაკობდა ფრანგულად, გადაქარბებულის აქცენტით.

ამ სიტყვაში სერ ედუარდ გრემ აღნიშნა მეფე ედუარდის სალამი და გამოსთქვა ის აზრი, რომ დელეგატები ინგლისში ჭეშმარიტ მშვიდობიანობის და მიუკერძოვების ატმოსფერას შეხვდებიან.

— ამ დარბაზში — სთქვა სერ ედუარდ გრემ — დელეგატები იგრძნობენ თავს ჭეშმარიტ ნეიტრალურ ნიადაგზედ, სადაც არ იქმნება არავითარი სხვა პოლიტიკა, თვინიერ მათის საკუთარის პოლიტიკისა.

პირველი სამადლობელო პასუხი მეფეს და გრეის ნოვაკოვიჩმა გასცა ფრანგულ ენაზედ: მეორედ და მესამედ ინგლისურად წაიკითხეს თავიანთი პასუხები ბერძენმა ვენიზელოსმა და ბულგარელმა დანევმა:

შემდეგ გასცეს პასუხი ფრანგულად მიუშკოვიჩმა და რემიდ ფაშამ.

კონფერენციის საბატიო თავმჯდომარის ტიტული დელეგატებმა სერ გრეის შესთავაზეს, რის შემდეგ გრეიმ დელეგატები საუბრეზედ გაიწვია. კრების გახსნამდე დელეგატებმა ადგილების საკითხი გადასწყვიტეს. დელეგატთა ჯგუფები კრებაზედ მაგიდას ფრანგულ ანბანის რიგით შემოუსხდებიან: *Bulgerie, Grèce, Montenegro, Serbie, Turquie.*

ამას ჰქვიათ: *haute politique.*

## კულტურული საქმიანობა სოფლად

### საკვირაო სკოლები.

სოფლის პირველ დაწყებითი სასწავლებლები, როგორც ეს წინა წერილში აღვნიშნე, ცოტად თუ ბევრად გამრავლდნენ მხოლოდ ამ ორიოდ წელიწადში; მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღესაც ბევრია ისეთი სოფელი, საცა არავითარი სასწავლებელი არ არსებობს და უნდა ვიფიქროთ, ჯერ კიდევ ბევრი წელიწადი გაივლის, ვიდრე ყველა ჩვენს სოფელს ელირსება რამენაირი სასწავლებელი: ამის თავდებია დღევანდელი პოლიტიკური პირობები.

მეორე მხრივ, დაქვეითებული ნივთიერი მდგომარეობა ჩვენის ხალხისა, ხელს უბოჭავს კერძო ინიციატივას, შესაფერ სკოლების დაარსებაში, ამ ნაკლის შესავსებად. მაგრამ სკოლები რომ კიდევ მოეფინოს ყველა ჩვენ სოფელს, მაინც უმეტესი ხალხი ისევ წერა-კითხვის უცოდინარი იქნება, რადგანაც სკოლაში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ მოზარდ თაობას. და იქ, საცა სკოლები ეხლა არსდება, მთელი თაობა წერა-კითხვის ცოდნას მოკლებულია და დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ რომ იმ დრომდის, ვიდრე შემოიღებული არ იქნება კანონით ვალდებულება სწავლისა, მანამდის წერა-კითხვის არა მცოდნეთა რიცხვი მუდამ უმეტესი იქნება.

წინა წერილშივე აღვნიშნეთ, რომ ეხლანდ-

ელი სოფლის სკოლებში უბრალო-წერაკითხვისაც ვერ ითვისებენ ბავშვები და იმასაც, რასაც ითვისებენ, მალე ივიწყებენ. ყველა აქ აღნიშნული გარემოება ავალებს ყველას, განსაკუთრებით კი სოფლის გულშემატკივარ ინტელიგენტებს, მრავალწლოვანი შესაფერი ყურადღება სოფლის მცხოვრებთა ამ ნაკლის და საერთო ძალით იზრუნოს მის გასაკურნავად. დღევანდელ პირობებში აქ აღნიშნულ ნაკლს — სოფლის მცხოვრებთა წერა-კითხვის და გონების განვითარებაში — ცოტად თუ ბევრად, ჩემის ფიქრით, შეავსებს სოფლებში საკვირაო სასწავლებლების დაარსება. ამ სკოლებში წერა-კითხვის სწავლებას გარდა, რის სწავლაც შეუძლიან სულ ყველა ხნისას და მათ შორის მოხუცსაც, იკითხება სხვა და სხვა წიგნები: მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან, ისტორიიდან, მწერლობიდან და საერთოდ იმ საგნებიდან, რაც გლეხს დღეს აინტერესებს. ამაზე ბევრს შეუძლიან მიპასუხოს, რომ ყველა ეს კარგია, მაგრამ მის განსახორციელებლად საჭიროა ჯერ ნებართვა და მერე საკმარისი ძალები. როგორც ერთის, ისე მეორის მოპოება კი ჩვენის სოფლისთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენსო. ამაზედ დაბეჯითებით უნდა მოვახსენოთ, რომ ეს ყველაფერი ისე ძნელიც არ არის. რაც შეეხება ნებართვას — ამის მოპოების მაგალითები კიდევ არის ჩვენს სოფლებში, მაგ. ს. კარდანახში შარშანდელს აქეთია არსებობს საკვირაო სასწავლებელი, ამ ცოტა ხანებში მოაწყობენ ს. გურჯაანშიაც; მხოლოდ ამისთვის საჭიროა, რომელიმე სანდო პირმა იშუამდგომლოს ს. სკოლების ინსპექტორთან. უფრო უკეთესი იქნება თუ პასუხის მგებლობას იკისრებს მღვდელი. მეორე მოსაზრების შესახებ შესაფერ შეგნებულ ძალის უქონლობა სოფელში — რასაკვირველია, დიდი ნაკლია და კარგი იქნება რომ ბევრი გვყავდეს სოფლად ინტელიგენცია, მაგრამ ამ მხრივაც არა ვართ ჩამორჩენილები, რადგან ზოგ დიდ სოფელში ამ ყამადაც მოიპოვება: რამდენიმე მღვდელი, რამდენიმე მასწავლებელი. ექიმი და აგრეთვე ადგილობრივი ინტელიგენცია — ამისთანა სოფელში კი ამ საქმის მოწყობა სულ ადვილია; მაგრამ, ჩემის აზრით, ამ სკოლის მოწყობა შეიძლება იქაც, საცა მღვდელი და ერთი ან ორი ინტელიგენტი მოიპოვება, თუკი ეს უკანასკნელნი ცოტად თუ ბევრად გამსჭვალულნი იქნებიან ხალხისადმი სამსახურის სურვილით. კვირა-უქმით წ. კ. სწავლება და წიგნების წაკითხვა, დამერწმუნეთ რომ არც ისე ძნელია, სარგებლობა კი, ამგვარის საქმიანობისა სოფელში პირდაპირ აუწერელია, როგორც

თვით სოფლის მცხოვრებისთვის, რომელიც წერაკითხვის გარდა პატარა რასმეს წაკითხულს გაიგებენ, აგრეთვე თვით მასწავლებლებისთვის, რადგანაც ამით სოფელსა და მის შორის კავშირი და პატივისცემა მყარდება, რაც ესე ძლიერ საჭიროა ჩვენის სოფლის ინტელიგენციისა და გლეხისათვის, რომელთა შორის დღეს დიდი უფსკრულია ჩატეხილი მაგრამ საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო რომ იმ შემთხვევაშიაც, როცა ბევრია ინტელიგენცია და, მეორეშიაც, როცა ცოტა, საკვირაო სკოლის ხეირიანად წასამართავად საჭიროა ვისიმე მორალური დახმარება და შემუშავება შესაფერ სახელმძღვანელო პროგრამა. მაგრამ ამ შემთხვევაში ესეთი დახმარება მოვალეა გაუწიოს ქ. შ. წ.-კ. გ. ს—ებამ, პირადათ მთავარ გამგეობის სახით იქნება იგი, თუ ადგილობრივ განყოფილების საშუალებით, ეს მათ უმეტეს, რომ ასეთ სკოლების დაარსება მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

მროველი.

### ქართველი „ტიმირიაზევი“

— რა შეგიძლიათ სთქვათ იულიოს კეისარზედ? ჰკითხეს გიმნაზიელს.

გიმნაზიელმა არამთუ არაფერი არ იცოდა, გონება მახვილიც გამოდგა და უპასუხა:

- არაფერი, კარგის მეტი?
- რა შეგიძლიათ სთქვათ „შეერთებაზედ“?
- ჰკითხეს თავ. თუმანიშვილს.
- არაფერი, კარგის მეტი!
- როგორ? სულ არაფერი?

— სულ არაფერი! მე ციფირებისა არა ვიცი რა. მე ვიცი მხოლოდ რომ მაგისტრალი მუდამ სჯობიან პატარა ტოტსა, უნივერსიტეტი—ნაციონალურ სკოლას, მცხოვრებთა უმრავლესობა—თავად-აზნაურობას და მთელი მხარე—საქართველოს!

ეს სულ თავად თუმანიშვილის აფორიზმებია. შემთხვევა გვაქვს მიულოცოთ ჩვენს დამყაყებულ მამულიშვილებს, რომ საქართველოსაც ჰყოლია თავისი კუზმა პრუტკოვი.

მაგრამ, როცა კამერ-იუნკერი გვასწავლის რა სჯობია სწავლა განათლებისთვის, ეროვნული სკოლა, თუ უნივერსიტეტი, ნება გვაქვს ვკითხოთ აზროვნობის ამ კოკროჰინას:

ამ დასკვნამდე „თავის ჰკუთით“ მივიდა, თუ ეს არის მზა-მზარეული ფორმულა, ბოძებული სხვა და

სხვა სამინისტროებისა, ბანკებისა და იმ სფერებისაგან, სადაც მოუხდა მას ყოფნა, ერთე მოახერხებდა „შეერთებას“?

გაკვეთილის ასე კარგა შესწავლისათვის თუმანიშვილმა მიიღო კურტაჟი და დირექტორის ადგილი.

ასეთი „ნიშანი“ მწარე ფიქრებს გვიღვიძებს. თუ ღმერთმა მოგვასწრო უნივერსიტეტს, მე დარწმუნებული ვარ „ჩვენი სასიქადულო პავლოუშა“ რექტორის ადგილს მიიღებს.

მისი საზოგადოებრივი კარიერა იქიდან დაიწყო, რომ თავდაპირველში მხოლოდ ამბობდნენ:

- იცით რა? არც ისე სულელია!
- და სამშობლოც უყვარს!
- მერე ამბობდნენ:
- კეთილიც არის!

მაგრამ ამას ამბობდნენ უკვე მაშინ, როცა თავად თუმანიშვილმა ერთ საზოგადოებას გრამოფონი შესწირა.

ამის შემდეგ ცოტა სხვანაირად დაიწყეს ლაპარაკი.

- იცით რა? ძალიან ჰკვიანია!
- ჰველმოქმედების ნიშნები ეტყობა!

როცა ერთი გაზეთის გამოცემას მიჰყო ხელი მაშინ ექვიც აღარ იყო, რომ ლიბერალიზმის აშკარა ნიშნებიც ეტყობოდა და რომ დებუტატთა საკრებულოს დამყაყებულ ატმოსფერაში სუფთა პაერის ახალი ნაკადული შეეშვათ.

- დაიწყეს ლაპარაკი:
- არ შეიძლება, მარშლად ავირჩიოთ?
- შეიყარნენ აზნაურები.

იმსჯელეს, იკამათეს და იმ დასკვნას დაადგნენ რომ მარშლაც გამოდგება.

— არც ისეთი ლიბერალია, რომ მარშლობა ვერ შესძლოს და არც ისეთი ჰკვიანია, რომ საშიში იყოს!

აი ის საფუძველი, რომლის ძალითაც აირჩიეს მარშლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, თავადი თუმანიშვილი მაინც ნამეტანი „ლიბერალი“ გამოდგა.

- აი მაგალითიც.
- ერთი დაწესებულების იუბილეი იყო. თავად-აზნაურობას უნდოდა რითიმე აღებეჭდა ეს იუბილეი, მაგრამ კონკრეტული ვერა გადასწყვიტა რა.

— თქვენო აღმატებულება! ეუბნებოდა თავადი თუმანიშვილი მეორე დღეს ერთ ბობოლას. ჩვენ გადავსწყვიტეთ თქვენი დღესასწაული ბიუსტების მორთმევით აღვნიშნოთ.

ბიუსტები ასი თუმანი ეღირება.

მეორე დღეს დებუტატთა საკრებულო „ლიბერალ“ ზავლუშას დაეძებდა.

— უდაბოთ დაგვკლა! იძახდნენ „რეაქციონური“ მარშოლები; ბიუსტები კი შეკვეთილი იყო.

თავადი თუმანიშვილი ტრადიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. მირთმევა აღარ შიძლებოდა: ხოლო ამ ბიუსტების სახლში დადგმა, მის „ლიბერალობას“ ეწინააღმდეგებოდა.

იმიტომ რომ ცოტა „სხვანაირი“ ბიუსტები იყო. მიუხედავად ამისა, მისი ლიბერალობის ხმა თანდათან ეფინებოდა ხალხს.

ამასობაში ლიბერალურ თავად თუმანიშვილს ერთი თვისება აღმოაჩნდა.

— ყბედობს! ამბობდა ყველა.

— პირზედ არა დაადგება რა!

— არ გეუბნებოდით, რომ არც ისეთი ჭკვიანია! ამბობდნენ ამაზედ ბებერი „ზღბრები“.

ამ დროს თავადი თუმანიშვილი კამერ-იუნკრის მუნდირზე ოცნებობდა და საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულს“ სცემდა.

— მიუხედავად ამისა კამერ-იუნკრის მუნდირი მაინც არსად სჩანდა.

ღამლამობით მას ეღანდებოდა პართენ გოთუა, რომელმაც დასაწყისშივე დანაგსა მისი კარიერა და შეუდგა „Возр ажд аnie“-ს ყველა ნომრების მოსპობას.

როცა „ვოზროჟდენიეს“ ნომრები სულ გაწყდა— მიიღო კამერ-იუნკრობა.

— შორს წავა! იძახდნენ მაშინ.

მაგრამ მისი მთავარი ნიჭი ჯერ არ გაფურჩქნილიყო.

რა არის კომერცია,

რა არის კონცესია,

რა არის რეალიზაცია, თავად თუმანიშვილმა ჯერ არ იცოდა.

ახალ კლუბში სიარულმა მასში სინემატოგრაფის სიყვარული განადვიდა. ცქერა და სიამოვნება კარგი იყო, მაგრამ სინემატოგრაფის კომერციულმა მხარემ გაიტაცა —

— და სადღაც ჩრდილოეთ კავკასიაში მან გამართა თავისი საკუთარი სინემატოგრაფი.

— კამერ იუნკერი!

— მარშალი!

— რედაქტორი!

— გამომცემელი.

— სინემატოგრაფისტი!

— ნავთის მწარმოებელი!

ყველას თვალები აეხილა.

— დიდი ნიჭია!

— ნამდვილი ქართველი „ტიმირიაზევი“, ამბობდა საქმის ხალხი და მისმა მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ მრავალს საღერღელი აუშალა.

დაიწყეს დენა პატარა „პაიშიკებმა“, ამ მსხვილ კომერციულ ბაკარის პატარა „აპარისტებმა“.

ჯერ მსხვილები არსად სჩანდნენ.

ისინი უცდიდნენ კახეთის რკინის გზის რეალიზაციას და რეალიზაციის სისრულეში მოყვანისთანავე გამოჩნდნენ მსხვილი მოთამაშენიც.

თავადი თუმანიშვილი ამ დროს იმ კოლეგიის წევრი იყო, რომელიც აწარმოებდა კახეთის რკინის გზის საქმეს.

თავად-აზნაურობამ იგი ქალაქის თვით მმართველობაში გაგზავნა. საქირო იყო სადგურის ადგილი, თუ ქალაქი ამ ადგილს უფასოდ დაუთმობდა.

ხატისოვმა უკვე იცოდა თავად-აზნაურობის აზრი და თავის მხრივ თანახმა იყო მიწა უფასოდ დაეთმო კახეთის რკინის გზისთვის.

მიუხედავად ამისა, ხატისოვსა და თუმანიშვილის შორის ასეთი ლაპარაკი მოხდა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ! ქალაქი მზად არის უფასოდ დაგიტმოთ ადგილი.

— მაგრამ, ალექსანდ ივანიჩ! თქვენ მოგვეცი თ მიწა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად აზნაურობა თითონ იქნება პატრონი გზისა.

— ეგ ჩვენთვის სულ ერთია, თავადო! თავად-აზნაურობა გვთხოვს მიწას, ქალაქიც აძლევს მას.

ჩვენ არაფერ პირობას არ გიდებთ.

— დამიჯერეთ, იმ პირობით მოგვეცი, როგორც მე გეუბნებით.

— მაშ გადაეცი თ თავად-აზნაურობას შედეგი ჩემი აზრი: ქალაქი მზად არის დაგიტმოთ უფასოდ ადგილი, თუ თქვენ თითონ იქნებით პატრონი გზისა.

— გმადლობთ!

ამ დროს თავ. თუმანიშვილი ბექდავს წიგნს ათონის შესახებ.

ან კიდევ სცენა... მაგრამ პეტერბურგში. თუმანიშვილი ჯერ კიდევ ბაქოს გზის გაყვანას არ აპირებდა.

პეტერბურგში მან გაიწო ვილაც ბელენსონი.

— თქვენო ბრწყინვალეებავ! გსურთ კახეთის რკინის გზის დირექტორობა? მაშ მომიხერხეთ კონცესიის ყიდვა ხუთასი ათასად.



თუმანიშვილი გარბის თავად აზნაურთა რწმუნებულებთან და არწმუნებს ამ „სასარგებლო“ საქმეში.

ამ დროს თავად თუმანიშვილს მთელი თავისი მდიდარი კოლექცია საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოების მუზეუმში გადააქვს.

კახეთის რკინის გზის რეალიზაციის საქმეში იყო აგრეთვე ვილაც კრაუზე. ტიპიური ფიგურა ბირჟისა, სპეკულიანტი და „საქმის კაცი“ იძლეოდა კონცესიაში სამასი ათას მანეთს და თხოულობდა, თავად აზნაურობას რწმუნების ქალაქი მიეცა. მე ვლასპარაკობ დოკუმენტზედ, რომელიც ინახება დეპუტატთა საკრებულოში.

დიმიტრი ჩოლაყაშვილი უარს ეუბნება კრაუზეს, გიორგი თუმანიშვილი ხელს არ უწერს რწმუნების ქალაქზედ და მარტო ერთი პავლე თუმანიშვილი ეთანხმება კრაუზეს.

რას დაჰპირდა კრაუზე თუმანიშვილს, არ ვიცით, მაგრამ ასეთ „საქმეში“ დირექტორის ადგილზედ ნაკლები რაღა იქნებოდა.

ამ დროს თავ. თუმანიშვილს აწესებს სადრამო თხოულებათა პრემიებს.

ეს მაგალითები მომყავს, როგორც წინასწარი ეტაფები იმ საქმისა, რომელსაც შემდეგ „შეერთება“ ეწოდება.

ამასობაში თავ. თუმანიშვილი იძენს ახალ ტიტულს:

კამერ-იუნკერს

მარშალს

რედაქტორს

გამომცემელს

სინემატოგრაფისტს

ნათის მწარმოებელს

ემატება ახალი სახელწოდება: სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის კონცესიონერისა.

თავადი თუმანიშვილი პეტერბურგშია.

დადის მინისტრებთან

მილიონერებთან.

აქ პირველად იგებს იგი, რომ კახეთის რკინის გზა ერთგვარი პოლიტიკური ლგოტა იყო, რომელსაც მთავრობა ეხლა „ნედოროზუმენიეს“ უწოდებს.

— ფეოლოროვმა იცოდა, რომ მე ცნობილი ადამიანი ვარ, გვეუბნება ცინიკურად თუმანიშვილი.

— თუმანიშვილმაც იცოდა რომ ფეოლოროვიც ცნობილი ადამიანი იყო.

თუმცა ერთ კომედიაში პირდიპირ არის ნათქვამი:

„ჩვენ არ ვიცოდით ვინ იყავით თქვენ თქვენ არ იცოდით ვინ ვიყავით ჩვენ“

მაგრამ ესტყვით რომ ფეოლოროვმა იცოდა, თუ რა ცნობილი ადამიანი იყო თუმანიშვილი.

ყოველ შემთხვევაში, ამდენი რკინის გზის გახსნის შემდეგ და „დიდ ინდოეთის გზის“ გაყვანის შემდეგ, მისი „ცნობილება“ არამც თუ ფეოლოროვამდის, ინდოეთის მაღარაჯებამდისაც მივა და ამდენი საქმის მომქმედს, თუ ამდენი რკინის გზაც ექნება, ბაგაყით შეუძლიან თავისი „სახელის“ გზაუნა ქვეყნის ყველა კუთხისკენ.

მაგრამ ამაში არ არის საქმე, ხაკმარისი იყო კავშირი ამ ცნობილ პირთა“ რომ თბილისში უკვე ტელეგრაფმა მოვიდა.

— შეერთება მოხდა!

კამერ-იუნკერი საუკეთესო ქიმიკოსი გამოდგა და აფთიაქრულის მოხერხებით გასტყვიდა ერთმანეთში კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს გზები.

— გამოვიდა რაღაც „პარაშოკი“:

კახეთის რკინის გზის მაგიერ—

„პავლეუშო-ტუმანოვსკაია დაროგა.“

და ეს იყო უდიდესი „ლიბერალიზმი“ თუმანიშვილისა! გაუმარჯოს მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს! გაუმარჯოს საერთო მხარის ინტერესებს.

ძირს თავად აზნაურობა

და კახეთის რკინის გზის დამოუკიდებლობა!

მაგრამ თავად-აზნაურობა მაინც გულუბრყვილო გამოდგა და შეეკითხა თუმანიშვილს.

— შეგვატყობინეთ როგორ არის დაცული თავად-აზნაურობის ინტერესი! პასუხი არ იყო.

— ავით ვარ! ბილეთი ვერ ვიშოვე. იმედია, ჩემს ყუთს დასდგავთ!


— ახ! რამდენი საქმე მაქვს! ამბობდ, ამ დროს თუმანიშვილი და რომ თავისი დიპლომატიური ნიჭი ყველასთვის ცხად ეყო, დააარსა კომისია ათონის მონასტრისა.

ისეთ „მართმადიდებელ“ ქრისტიანად მოაჩვენა ყველას თავი, რომ, კათოლიკე რომ არ ყოფილიყო, ავტოკეფალისტები კათალიკოსადაც დაასახელებდნენ

მანამდის კი გამართა ჩაი და „პეჩენიების“ მაგივრად, სამღვდლოებას „პროტესტი“ ჩამოუტრია.

ჯერ მოაწერა ხელი „ემინენცია“ მერე მისმა „პრეზიდობიემ“

არას ვამბობთ საარქეოლოგიო და სამოქალაქო ჩინებზედ! და საქმე დაგვირგვინდა იმით რომ საქართველოს საარქეოლოგიო და საისტორიო საზოგადოებამ მიაართვა დიპლომი.



ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ამ საზოგადოებასთან გავმართოთ კამათი იმის შესახებ, თუ რა უფრო ძვირფასია თანამედროვე ქართველებისთვის თამარ დედოფლის:

- „დუკატი“
- „მარჩილი“
- „ფარა“
- „ფლური“

თუ თანამედროვე „რუბლი“, რომელიც აიღო თავად თუმანიშვილმა კახეთის რკინის გზის „გასაღებაში“, და რომელიც მოაკლდა იმავე ქართველობას ამ გზის გაბათილებით, მაგრამ ასეთი თავშეჯივრებული დემონსტრაცია იმ წუთში, როცა საკითხი „პატიოსან სახელის“ შესახებ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის, ნიშნავს

არქეოლოგიურ ეტრატების ბერტყას და არქეოლოგიურ მტვერის დაყენებას, იმ განზრახვით, რომ მთელი „აწმყო“ თუმანიშვილისა ამ მტვერით დაჰფარონ.

რა იქნება შემდეგ, არ ვიცით.

ვიციტ მხოლოდ, რომ თუმანიშვილის ტიტულს

- კამერ-იუნკრისას
- მარშლისას
- რედაქტორისას
- გამომცემლისას
- სინმატოგრაფისას
- დირექტორისას

მიემატა კიდევ ერთი ტიტული:

დიპლომიანი წევრი საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებისა.

კარგი სიმპტომა!

და რაც უფრო მალე გახდის ეს საზოგადოება თუმანიშვილის არა თუ მარტო დიპლომიან წევრად, არამედ თავის საარქეოლოგიო კუთვნილებად — მით უკეთესი იქნება.

ის უნდა შევინახოთ მუზეუმში, როგორც ავტორი იმ „პარაშოკისა“, რომელსაც —

„პავლეუშო-ტუმანოვსკაია დაროვა“ ჰქვია.

ფარსმან-ფარუხი.

## ბაღკანეთის ომი და ზავი

როგორც მოსალოდნელი იყო, მოკავშირეთა და ოსმალთა, შეაღიეს ერთმანეთს თავისი ძალონე და ჩატალჯის კედელ ზღუდესთან ზავი ჩამო-

აგდეს. გამარჯვებული მოკავშირენი ხელდავდნენ, რომ ჩატალჯა არა მარტო საფლავად შეიძლება ექცეს ათი ათასობით მეომარს, არამედ იმ კლდეთაც, რომელზედაც დაიმსხვრევა მათი აბობოქრებული ზღვა გამარჯვებისა და აღფრთოვანებისა.

გაბერტყილი ოსმალნი კი, ამ ციხე-სიმაგრეში და თუ მოესწრებოდნენ ნამდვილს გამარჯვებას და ოსმალთ ხირიმის სახელის აღდგენას. მაგრამ ორთავ მხარეს მეტად ბევრის დაკარგვა შეეძლო ამ ბუნებრივ და ხელოვნურ წრესთან და შეჩერდნენ: ზავი ჩამოაგდეს. მთელი ევროპის ყურადღება ახლა ლონდონშია გადატანილი, საცა მებრძოლთ წარმომადგენელნი სცდილობენ დროებითი ზავი ხანგრძლივ მშვიდობიანობად აქციონ.

მოახერხებენ კიდევ, უეჭველია, რადგან ომმა ყველას კარგად დაანახვა, თუ როგორ შეუძლიან თანამედროვე იარაღს რამდენიმე კვირაში ისტორიული, ტერიტორიული და სხ. ცვლილებანი მოახდინოს. მეტად სახიფათოა ომი, რომ დათმობის გზას, არ დაადგეს ორთავ მხარე.

მაგრამ ყველაზედ „უცნაური“ ის არის, რომ მშვიდობიანობის კონფერენციაზე რიგდებიან არა მეომარნი მხოლოდ, არამედ არამკითხვე-მოამბენიც. ავსტრიამ აავსო თავისი ქვეყანა ჯარით და საომარი სამზადისით ყველა სახელმწიფონი ჩააფიქრა. საზღვრებზედ ლაშქრები დააყენა და ციხე-სიმაგრეებს პირი და ზურგი გაუმაგრა. გერმანიამ და იტალიამ გული გაუკეთეს, ძველი ხელშეკრულობა განაახლეს ავსტრიასთან და ომში შეველას დაჰპირდნენ.

მერე ვის ეომება ავსტრია? თითქო მტერი არსაიდანა სჩანს და რას ფაფხურობს? მაგრამ იცის, რასაც სჩადის: გაღმა დაობს, რომ გამოღმა მაინც დარჩეს.

ყოველთვის, როცა კი მოსახერხებელია ავსტრია ცდილობს ვისმე რამე გამოჰგლიჯოს, მაგრამ პირდაპირი ბრძოლით ვერასა ჰბედავს. სარგებლობს მხოლოდ სხვისი გულუბრყვილობით, შიშით და საქმის გამწვავებით. რასაკვირველია, სერბიას არ შეუძლიან გაუმკლავდეს ავსტრიას და აი აქეთკენ მიმართა თავისი ზრახვანი „ორპირმა“ სამეფომ. ევროპის სახელმწიფოთ ეშინიანთ საერთა-შორისო ომისა და როგორც ბოსნია-გერცეგოვინას ანექსიის დროს, ავსტროუნგრეთს იმედი აქვს, რომ რუსეთი ეხლაც არ გამოექომაგება თავის მოძმე ხალხს. რუსეთის დიპლომატია ყოველთვის იჩენდა არა მარტო მშვიდობას, არამედ გულუბრყვილობასაც კი და იპონიასთან ომის შემდეგ ხომ სულ დაეკარგა საომარი ღინი.



მართლ ამით აიხსნება ეს უდიერი მოპყრობა რუსეთთან ევროპის დიპლომატიისა. ეხლა ავსტრია ვერ აიტანდა რუსეთთან ომა და, შესაძლებელია, აღიგებოდა პირისაგან ქვეყნისა, რადგან ბალკანეთის სლავიანთა „ფედერაციამ“ მრავლათ დასახლებულ სლავიანებს ავსტრო-უნგრეთში, აღუძრა სურვილი განდგომისა და მონათესავეთა ფერხულში ჩაბმისა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად რუსეთის დიპლომატია ულოლიაფებს და ელაქუცება ავსტრია-ევროპის გათახსირებულ დიპლომატიას და ეროვნულ თავმოყვარეობასაც კი ბლალავს თავისას, რომ შეტაკება არავისთან მოუხდეს. ეს რომ მშვიდობიანობის სიყვარულით იყოს გამოწვეული, რუსეთის საზოგადოება შეურიგდებოდა მთავრობას, მაგრამ ეს მხოლოდ უვიცობით და შიშით გამოწვეული ნაბიჯია, რომ თავის „მოდმით“ გამარჯვებულ და სისხლის დამღვრელ ბალკანელებს მხარს ვერ უჭერენ და ავსტრიის მზაკვრულ ზრახვათ ხელს უწყობენ. რუსეთისთვის ეხლა ყველაზედ მარჯვე დრო არის ალაგმოს ავსტრიის გაუმაძღრობა და სხვისი ხელით ნარის გლეჯა; როცა სლავიანთა სისხლი იღვრება და ავსტრიელთა სამეფო კი ფუფუნება და ნოყიერდება ამ სისხლით, მაგრამ „შიშს დიდი თვალები აქვსო“, ამბობენ რუსები და მართლაც ავსტრიის ფაზი-ფუზი და ტრახახი ომი სუნად ელანდებათ. თორემ განა აშკარა არ არის, რომ ავსტრია ნამდვილად ომისთვის არც მზათაა და არც შეუძლიან ომი, რადგანაც ეს მისი სიკვდილის მომასწავებელი ომი იქნება.

კიდევ ერთხელ ნახა ქვეყანამ, რომ რუსეთის დიპლომატიას ევროპის სახელმწიფონი ბავშვივით ათამაშებენ და აშინებენ: ბუა მოდისო — ევროპის ომიო და ამ დროს ხელებს ითბობენ იქ, საცა ცუცხლი სხვამ თავისთვის დაინთო.

**მეომარი.**

მ კავხაძეს კონცერტი. არ შეიძლება ვსთქვათ, რომ კავხაძეს კონცერტმა დააკმაყოფილოს მუსიკალური მოთხოვნა და თანამედროვე ქართველი ინტელიგენტი-სა, მაგრამ ერთი სამართლიანი პასწრაფება ამ ახადგაზრდა ლატბარას ევკლასათვის თვალსაჩინოც არის და სასიხარულოც: ეს — დაცვა წმინდა ეროვნული ხასიათისა. ნავატარობა, ახალი ჭანგების შეტანა ეროვნულ მუსიკალურ-მოყვანაში. მისი გაუმჯობესება — განვითარება ფრთხად სასურველი მავლენაა, მაგრამ იქ, საცა ხვეწსავიო, ქვეყანა ღარიბია სტატისტიკურის ცნობებით, საცა გა-

მეფეებულას საშობლო ისტარიის უცოდინრობა, საცა უშეტესობა ინტელიგენციისა უფრო კარგად ეცნობს რუსეთს, ევროპას და მათს მუსიკასაც, ვიდრე თავის მახლობელს საქართველოს არ შეიძლება კარგად შევსდეს ამ ცდას ნამდვილ ეროვნული საკვლობების შეკრახება-ადგენისას და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას.

ხვენ გვევს ნაჭიერი შემუსიკენი, გვევანან შემკრებნიც ხალხური სიმღერა-მოყვანისა, მაგრამ ცოცხალი გამომტეში ეროვნული საკვლობებისა, საერო თუ სასულიერო ხასიათისა — შეტად ნაკლებია.

ამ მხრივ, კავხაძის გუნდი დიდი მავლობის ღირსია და უსურველთა კიდევ წინ მსუფულობას ამ გზაზედ, რომ სხვებთან ერთად ხაუვაროს საფუძველი ეროვნულ სიმღერა-საკვლობების გაგრცელებას, რაზედაც ხვენმა კომპოზიტორება და შემუსიკეთ უხდა ააშენონ და განაყოყარონ ქართული თბერას და მუსიკის მომავალი. მაგრამ უხდა ალენაშნოთ სუსტი მხარეებიც კავხაძის გუნდისა. რაგვარც ცდა — ეს კონცერტი კარგი იყო, მაგრამ ამ გზის სიარული დიდს თანაგრძნობას ვერ იმეფის საზოგადოებაში. ვერ ერთი, შეტად სუსტი და არაშესიკადური ხმება უმრავლესობისა ახადენდა თვით საკვლობების იერს; ხმების შეკრახება იქამდის სუსტი იყო, რომ ლატბარი იმეფებული იყო ხელებით, მაშვიით და მოძრახობით შეტი გამეხატა, ვიდრე ეს სიმღერებით სურათდებოდა.

ხვენი ეროვნული სიმღერების სხვა და სხვაფერობა ამ კონცერტზე ნაკლებ იყო გამჩინილი და ერთფერი სიმღერების ზომს კი ძალიან გაჭიანურებული.

ორიგენალურმა მუსიკალურმა სცენებმა ცეკვით და ჩანგურთა გამოაწვიეს საერთო ენტუზიაზმი და ტაშის ცემა, მაგრამ ლატბარი არ უხდა გაიტაცოს ასეთმა მსუბუქმა ოფაციებმა: ეს იყო გამახატული ადტაცობა მშობლიური სურათებისადმი და არა მუსიკისადმი. რასაც უხდა უფრო შეტი ურადლება მიეჭენს.

მაინც ვიტყვიოთ, რომ იმ მატერიალურ და ხმოვან საშუალებით, რომელიც ხელთქ ჩონდა ბ-ნ კავხაძეს ფრთხად საგულიანო შედეგს მიაღწია და საზოგადოებაც მოვალება დახმარების ხელი გაუწოდოს. უსურველთა მუყაითს მუშავს კარგს მომავალს და იმედიც გვაქვს, რომ მისი ცდა ბუდის მოახხვერვა.


**დამსწრე.**

რედაქტორ-გამომცემელი  
რ. გაბაშვილი.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო

## საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხა ბადში, ტაშკენტში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში ლექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

ელექტრომბეჭდავი სტამბა ს. შ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866<sup>1</sup>/<sub>2</sub>, დესეტინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უპანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკაფიოდ დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო-სამეურნეო სასოფლო გაზეთი

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„ქართლი“

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

დამატებით

წლიურად ეღირება	5 მ.
ნახევარი წლით	2 მ. 50 კ.
სამი თვით	1 მ. 50 კ.
ერთი თვით	45 კ.

უდამატებოდ

წლიურად ეღირება	4 მან.
ნახევარი წლით	2 მ. 30 კ.
სამი თვით	1 მ. 20 კ.
ერთი თვით	55 კ.

ცალკე ნომერი დამატებით უფელგან 5 კაპ. უდამატებოდ 3 კაპ.

განცხადების უასი: პირველ გვერდზე პეტრიტო სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე — ერთი შაური. სამკლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგოხილამ კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველდღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე. მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოდის ყოველ თვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში.

ჟურნალი გამოდის დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს სამი მანეთი და ათი შაური (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით ორი მანეთი (2 მან.); საზღვარ გარე ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „ქ. შ. წერაკოთხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და „ნაკადულის“ რედაქციაში. ქუთაისში წიგნებისა და გაზეთების კანტორა „იმერეთი“, ისილორე კვიციანიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“. ამ ორ ადგილს იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе. რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“

წელიწადი ქუცხრე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

8ცირე წლოვანეთათვის 24 წიგნი  
მოზრდილთათვის 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარ წლით 3 მან., ცალ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მან., საზღვარ გარე 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „ნაკადულის“

რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, 8 და წ. კ. საზ. მაღაზიაში, ქუთაისში — ისილორე კვიციანიძესთან, თ. კანდელაკთან და მარიამ ყაუხჩიშვილთან, სამტრედიისში — ივანე გლაძეკოვთან, ფოთში — თეოდორე კანდელაკთან, ბათომში — ქ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, დ. ხონში — ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, ოზურგეთში — ლეო იმნაძესთან, თელავში — ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში — კონსტანტინე გვირამაძესთან, ბაქოში — ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, გორში — ნინო ლომაურთან და ქ. ჯავახიშვილთან, სოხუმში — ქ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში — ივანე გომელაურთან, განჯაში — ბ. ამბოქიძესთან, ერევანში — ვ. ოდიშერიასთან, ყარსში — ფერშალ ვანო საათაშვილთან და როსტოვში — კლიმიაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი თავ. პავლე ივანეს ძე თუმანიშვილი.